საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ი. ბ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.11.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 103/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ა. კ. /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 22 ნოემბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა ი. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა ი. ბ.-მ 2022 წლის 14 დეკემბრის დისტანციურად გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის სექტემბრის თვიდან ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ა. ლ.-ს და მისი ოჯახის წევრების ინტერესების დაცვას, რომლებიც გახდნენ ძალადობის და თაღლითობის მსხვერპლნი. 2022 წლის 01 ივლისს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ა. ლ.-ს

მეუღლემ ა. ს.-მა და ა. კ.-მ ხელი მოაწერეს ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, მისი კლიენტის ოჯახმა ა. კ.-ისაგან ერთი წლის ვადით იქირავა ბინა, თვეში 1.200 აშშ დოლარად. მხარეთა მოპალარაკებით, მოქირავნეებს ბინაში უნდა შეესრულებინათ სარემონტო სამუშაოები. ადვოკატმა განმარტა, რომ მისი საქმეში ჩართვის მომენტისათვის მის კლიენტებს ა. კ.-ისათვის გადახდილი ჰქონდა სამი თვის ქირა სრულად და შესრულებული ჰქონდათ სარემონტო სამუშაოების ნაწილი, დაახლოებით 3000 აშშ დოლარის ღირებულებით. ა. ლ.-ს ოჯახმა ბინაში იცხოვრა მხოლოდ 20 დღე, შემდეგ ა. კ. უკანონოდ შეიჭრა გაქირავებულ ფართში და ძალადობის გამოყენებით გამოაძევა კანონიერი მფლობელი დაქირავებული ბინიდან.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საქმეში ჩართვისთანავე სცადა ადვოკატ ა. კ.-სთან მოლაპარაკება, რომელიც თავიდან დაეთანხმა მოლაპარაკების პირობებს, თუმცა ეს პირობები არ შეასრულა - მან არ დაუბრუნა ა. ლ.-ს კუთვნილი ნივთები და არც დანახარჯი აუნაზღაურა. მოლაპარაკებას ესწრებოდნენ ადვოკატ ა. კ.-ის დედა, მეუღლე და შვილები. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. უკანონოდ დაეუფლა სს „ვი თი ბი“ ბანკის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართს, უკანონოდ აქირავებდა ამავე ფართს და ქირის თანხას ითვისებდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სადავო ბინა ა. კ.-ის ან მისი ოჯახის საკუთრებას არ წარმოადგენს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 3 სექტემბერს მივიდა სადავო ბინის სადარბაზოში, სადაც იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლებიც. ამ დროს ბინის კარი გააღო ა. კ.-მ, რომელსაც ხელში ეჭირა მობილური ტელეფონი და იღებდა ვიდეოს. ა. კ.-მ იმ დღეს გადაღებული ვიდეო განათავსა სოციალურ ქსელში და ინტერნეტ ტელევიზიაში „---“ სათაურით: „ქართველი ადვოკატები ოკუპანტებს სხვისი ბინის უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებიან“. ამ ჩანაწერში ადვოკატი ა. კ. მის და მისი კლიენტის მიმართ გამოირჩევა შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული და ადვოკატისათვის შეუფერებელი საქციელით და ლექსიკით.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არ არის ნასამართლევი (არც ნასამართლეობა გაქარწყლებული) და ა. კ. ვიდეო ჩანაწერში მისი მისამართით იყენებს არაეთიკურ გამონათქვამებს.

1.6 საჩივრის ავტორის პოზიციით, ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი განმარტებით, ადვოკატი ა. კ. არ უარყოფს, რომ სიტყვებს თავად ამბობს, თუმცა ამ სიტყვებს არ მიიჩნევს შეურაცხმყოფელად.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, შსს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილში დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის N--- საქმეზე, ა. კ.-ის მიერ თაღლითობისა და სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. კ.-მ 2022 წლის 8 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ი. ბ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო და დამყარებულია მცდარ ფაქტებზე, რაც მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას. ადვოკატმა ა. კ.-მ 2023 წლის 2 თებერვლის სხდომაზე მხარი დაუჭირა წერილობით ახსნა-განმარტებაში მითითებულ პოზიციას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ა. ლ.-ს მეუღლეს ა. ს.-ს მისმა ოჯახის წევრებმა მიაქირავეს სახლი. მას აღნიშნული ადამიანები ბინიდან არ გაუსახლებია, ისინი ბინიდან წავიდნენ თავისი გადაწყვეტილებით, რადგან მიიჩნიეს, რომ რადგან სახლი იყო ბანკის სახელზე, ა. კ.-ს არ უნდა დაედო ქირავნობის ხელშეკრულება. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ი. ბ. ცდილობს მის საცხოვრებელ სახლში შეჭრა ახსნას იმით, თითქოს მას ამ ქმედების განსახორციელებლად სამართლებრივი უფლება ჰქონდა. ადვოკატმა განმარტა, რომ სახლი ეკუთვნოდა მის მშობლებს, რომლიდან გამომდინარეც ჰქონდათ ურთიერთობა ბანკთან. სახლი შესაძლოა ბანკის საკუთრებაა, თუმცა არ მომხდარა გასახლების პროცესი და ამ სახლში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ი. ბ. მივიდა მასთან სახლში, შეუცვალა საკეტი და სახლში თავისი კლიენტები შეუშვა. ადვოკატმა განმარტა, რომ ი. ბ.-ს ამ ქმედებაზე მისი რეაგირება იყო ის, რომ შევიდა და ცხოვრობს აღნიშნულ სახლში. ამის შემდეგ მის სახლში მეორედ მივიდა ი. ბ.. ადგილზე იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და ჟურნალისტები, რომლებიც აკვირდებოდნენ პროცესესს - როგორ უვარდებოდა მას სახლში ი. ბ.. ადვოკატის ინფორმაციით, ვიდეო გადაიღო ჟურნალისტმა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ვიდეო ჩანაწერში საუბრობს ემოციურად, მაგრამ მას ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ არც ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა არ უთქვამს, პირიქით, თავად ი. ბ. აყენებდა მას შეურაცხყოფას და უხეშად მიმართავდა, ასევე კლიენტების და საპატრულო პოლიციის თანდასწრებით მას ბრალს სდებდა დანაშაულის ჩადენაში. ადვოკატი ი. ბ. მას უპატივცემულო ჟესტიკულაციით მიუთითებდა რომ - „სახლში შესულიყო“, ასევე, რამდენჯერმე უწოდა თაღლითი და მან მაქსიმალურად შეიკავა თავი, რომ კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. ადვოკატი ი. ბ. მასთან მოლაპარაკებისთვის არ მისულა, პირიქით, როდესაც თავად სცადა მასთან სცადა კომუნიკაცია და საუბარი, ი. ბ.-მ უხეშად მიმართა, რომ სახლში შესულიყო შემდეგი სიტყვებით: „შედი რა“!, უწოდა თაღლითი და დაამცირა საპატრულო პოლიციისა და კლიენტის თვალში, მაშინ როდესაც ის იცავდა თავისი ოჯახის ღირსებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ი. ბ.-ს იცნობს დიდი ხანია და მასთან აქვს კოლეგიალური ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, მან ი. ბ.-ს აუხსნა, რომ ის იყო მისი სახლი და ჰკითხა - რატომ სჩადიოდა მსგავს ქმედებას. ადვოკატ ი. ბ.-ს მის მიმართ ჰქონდა აგდებული დამოკიდებულება და აგდებული ტონალობა. ჩანაწერშიც ჩანს, რომ ადვოკატი ი. ბ. მას ეძახის თაღლითს, ადვოკატი მიიჩნევს, რომ ასეთი დამოკიდებულება ადვოკატ ი. ბ.-ს მხრიდან არ დაუმსახურებია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას არც გადაუღია და არც გაუვრცელებია საჩივარს დართული ვიდეო ჩანაწერი, ასევე, მას არც საკუთრებაში გააჩნია ტელევიზია და არც რომელიმე სამაუწყებლო კომპანიისათვის მიუმართავს ვიდეო ჩანაწერის გამოქვეყნების მოტივით. ადვოკატის განმარტებით, სადავო ფრაზა - „ქართველი ადვოკატები ოკუპანტებს სხვისი ბინის უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებიან“ - არის ჟურნალისტების დაწერილი და მას არ გაუვრცელებია, რადგან თავადაც ადვოკატია. ადვოკატი განმარტავს, რომ მას ეს ინფორმაცია არც სოციალური ქსელით გაუვრცელებია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას ი. ბ.-სთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მისი სტილია, რომ კოლეგების მიმართ აქვს კარგი დამოკიდებულება. ადვოკატის განმარტებით, არასწორ ფაქტებზე აგებული საჩივრის საფუძველზე, არ უნდა აღიძრას მის მიმართ დისციპლინური დევნა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ი. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2022 წლის 22 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლის 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ა. კ.-მ 2022 წლის 3 სექტემბერს მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც ასახულია ვიდეო ჩანაწერში, რომელიც გადაიღო და შემდეგ გაავრცელა ადვოკატმა სოციალური ქსელისა და ერთ-ერთი, ნაკლებად რეიტინგული ტელევიზიის მეშვეობით სათაურით - „ქართველი ადვოკატები ოკუპანტებს სხვისი ბინის უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებიან“..

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.3 ადვოკატის პროფესია არის თვითრეგულირებადი და საპასუხისმგებლო. ადვოკატი არის დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას. ადვოკატი კოლეგასთან ურთიერთობის დროს უნდა იყოს ეთიკური, გაწონასწორებული და ღირსეული, როგორც მხარის წარმომადგენელი და ასევე მაშინ, როდესაც ის პირად საქმეს აწარმოებს.

5.4 „კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობაში და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ

(პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისია“, 17.10.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე N062/17).

5.5 „ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით გამოთქმული ისეთი განცხადებები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას“ (ეთიკის კომისიის 25.12.2013 წლის გადაწყვეტილება, საქმე N037/13).

5.6 საპროცესო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას დადგინდა, რომ საჩივრის ავტორი, ადვოკატი ი. ბ. წარმოადგენს დამქირავებლის - ა. ლ.-ს და მისი ოჯახის ინტერესებს ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავაში (2022 წლის 01 ივლისის საიჯარო ხელშეკრულება). ბინის გამქირავებელს წარმოადგენს ადვოკატი ა. კ., რომელმაც თავისი ოჯახის ბინასთან დაკავშირებით გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება ადვოკატ ი. ბ.-ს კლიენტთან - ა. ს.-სთან. ქირავნობის საგანი - საცხოვრებელი ბინა წარმოადგენდა ადვოკატ ა. კ.-ის ოჯახის საკუთრებას, რომელიც ამჟამად არ ირიცხება ადვოკატის ოჯახის საკუთრებად, ბანკთან არსებული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე. თუმცა, ადვოკატ ა. კ.-ის ოჯახის გამოსახლება აღნიშნული ბინიდან არ განხორციელებულა. სადავო შემთხვევა უკავშირდება ბინის ქირავნობიდან გამომდინარე, 2022 წლის 3 სექტემბერს მომხდარ ფაქტს.

5.7 დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 16). მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 17.1). საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.8 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის

მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. საჩივრის ავტორმა, ადვოკატ ა. კ.-ის მიერ მისთვის შეურაცხმყოფის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად წარმოადგინა მტკიცებულება, ვიდეო ჩანაწერი; კოლეგიამ სრულყოფილად გამოიკვლია წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერი, მასზე ასახული აუდიო და ვიზუალური ინფორმაცია: საიდანაც ირკვევა, რომ საცხოვრებელი ბინის გარე პერიმეტრზე - სადარბაზოში იმყოფებოდნენ ადვოკატი ი. ბ., პოლიციის თანამშრომელი, სავარაუდოდ ი. ბ.-ს კლიენტი - მცირეწლოვან შვილთან ერთად და ვიდეო ჩანაწერში ისმის კიდევ ერთი მამაკაცის ხმა, რომელიც ვიზუალურად ვიდეო ჩანაწერში არ სჩანს. ვიდეო ჩანაწერში ისმის შემდეგი ფრაზეოლოგია:

- ადვოკატი ი. ბ. - ეს ბინა ეკუთვნის „ვი თი ბი“ ბანკს;
- მამაკაცის ხმა - ი. ბ. გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? ეს არის რუსეთის მოქალაქე, ეს ბატონი?
- ადვოკატი ი. ბ. - შედი რა შიგნით;
- მამაკაცის ხმა - გამეცი პასუხი, თქვენ ხართ რუსეთის მოქალაქე? ეს სახლი თქვენია? (ხმა საუბარს აგრძელებს არაქართულ ენაზე);
- ი. ბ.-ს კლიენტი - პასუხობს არაქართულ ენაზე;
- მამაკაცის ხმა - შენ ესე იცავ ამათ? როდის აქეთ, იასონ რამდენ გიხდიან რუსები, რამდენს გიხდიან, შე თავზეხელაღებულო, რას დაგამსგავსა ორმა კაპიკმა, ორი კაპიკის გამო ესე აკეთებ, რომ ოჯახში მივარდები? ოჯახში მივარდები?;
- ი. ბ.: თაღლითო;
- მამაკაცის ხმა - ოჯახში მივარდები;
- ი. ბ. - თაღლითი ხარ;
- მამაკაცის ხმა - შე მართლა თაღლითო, შე, ნასამართლევი მაინც არ იყო ქრთამზე, თუ მე ვარ ნასამართლევი ქრთამზე, არ დაგინახო, რომ შეაწუხო ჩემი ოჯახი არასდროს, შენ არაფერი შეგეშალოს ხო გაიგე, შენ წადი რუსებს აულოკე ერთი ადგილი;
- ი. ბ.: დავაი შედი შიგნით, მიდი, მიდი;
- მამაკაცის ხმა - წადი აქედან შენ განახებ შენ, შენ გადაშენდი შენ, შენ ახვარო“.

5.9 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და მტკიცებულების საპირწონედ, ადვოკატი ა. კ. ადასტურებს შემთხვევის ადგილას ყოფნას, განმარტავს, რომ იყო აღელვებული რადგან საქმე ეხებოდა მისი ოჯახის საცხოვრებელ სახლს, თუმცა კოლეგისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს არ ადასტურებს. ა. კ.-ის განმარტებით, მას არ გადაუღია და შემდეგ არ გაუვრცელებია სადავო ვიდეო ჩანაწერი სათაურით: „ქართველი ადვოკატები ოკუპანტებს სხვისი ბინის უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებიან“. კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერზე ვიზუალურად არ სჩანს ადვოკატი ა. კ. და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ეთიკის კომისიას არ შეუძლია დაადგინოს ხმის კუთვნილება კონკრეტული პიროვნებისადმი. ასევე, წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძვლეზე არ ირკვევა,

ვინ გადაიღო და გაავრცელა აღნიშნული ვიდეო ჩანაწერი. შესაბამისად, მხარეთა პოზიციებისა და წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, არ დგინდება ადვოკატ ა. კ.-ის მიერ კოლეგის - ი. ბ.-სთვის შეურაცხოფის მიყენების ფაქტი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და ადგენს, რომ არ უნდა აღიძერას დისციპლინური დევნა ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ, რადგან არ დასტურდება მოპასუხე ადვოკატის მხრიდან კოლეგიალობის ვალდებულების (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 7 და 10.1) დარღვევა.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №103/22 ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/